ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2382744

ნომერი: AR1367140

თარიღი : 28.12.2015

გაცემის თარიღი : 12.01.2016

გაცნობის თარიღი : 13.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ც. დადიანი , N 263 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კონა ლაგურაშვილი პ/ნ 01014003799
- თბილისი ს.დოდაშვილის ქ. N 40

ორგანიზაცია:
- შპს"ვიონი საქართველო" კოდი: 20445084

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის – კონტეინერისა და შენობის სახურავზე ანტენების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა #263–ში, შპს „ჯეული“ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთიN 01.12.11.037.023), კონტეინერისა და არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს. "მობიტელი"-ს მიერ მობილური კავშირგაბმულობის კომპლექსური ანტენების მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდანN 882015610033 30/10/2015წ. საკადასტრო კოდი N 01.12.11.037.023; საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობოლიბა) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ც. დადიანის ქუჩა #263–ში, შპს „ჯეული“ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთიN 01.12.11.037.023), კონტეინერისა და არსებული შენობის სახურავზე შ.პ.ს. "მობიტელი"-ს მიერ მობილური კავშირგაბმულობის კომპლექსური ანტენების მოწყობის შესაძლებლობას.

საბაზო სადგურის მოწყობისას გათვალისწინებულ იქნას შპს "მერიდიანი 2003"–ს სანიტარული პროექტი ჰიგიენური დასკვნა #97 აღნიშნული რეკომენდაციები.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.